საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპუჭური ენა

კაპუჭური ენა,კაპუჭურჰუნზიბურიენა, ბეჟიტურიენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტნის წუნტის რ-ნის აულებში: ბეჟიტაში (ქართ. კაპუჭი), ხოშარხოტაში, ანუ ხოშარხოში (ქართ. ხაშალხუტი), ტლადალში (ქართ. ქალაქი), ჰუნზიბში, ღარბუთლსა და ნაჰადაში, აგრეთვე ყვარლის რ-ნის სოფ. ჩანთისყურეში, სარუსოსა და თხილისწყაროში. კ. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 4500 კაცი. გაირჩევა 2 დიალექტი: კაპუჭური და ჰუნზიბური. კაპუჭურ დიალექტში გამოიყოფა სამი კილოკავი: საკუთრივ კაპუჭური, ხაშალხუტური და ტლადალური. სხვაობა მათ შორის ძირითადად ფონეტ. ხასიათისაა.

ფონეტ. სისტემაში 5 მარტივი – ა, ე, ი, ო, უ – ხმოვნის გარდა წარმოდგენილია მეორეული წარმოშობის გრძელი ნაზალური და აგრეთვე უმლაუტიზებული (კაპუჭური) ვარიანტები, ე. წ. ირაციონალური ხმოვანი (ს), ვიწრო, ლაბიალიზებული ა და ღია, ა-სკენ გადახრილი ო (რ) (ჰუნზიბური). მახვილი სუსტი, დინამიკურია და ძირითადად მოძრავი. თანხმოვნებში დასტურდება ხშულთა სამეულების, სპირანტთა წყვილეულებისა და ცალეულების სისტემა. სპეციფ. თანხმოვნებია: ყრუ ლატერალები (ფშვინვიერი აფრიკატი და სპირანტი, მკვეთრი აფრიკატი), ქვემო ხახისმიერი მჟღერი და ფშვინვიერი სპირანტები, აგრეთვე ხორხისმიერი მკვეთრი ხშული. ფუძეებს ახასიათებს სრულხმოვანება. წყობა აგლუტინაციურია. გრამატ. კატეგორიები უმთავრესად სუფიქსებით იწარმოება, სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიებია კლასი და რიცხვი. მხ. რიცხვში არის 4 გრამატ. კლასი: ი, Q, ბ (>მ), რ(>Q – კაპუჭური, ნ- ჰუნზიბური), მრ. რიცხვში – 2: ბ(>მ) და რ(Q; ნ). მდიდარია მრ. რიცხვის ფორმანტებით. ძირითადი ბრუნვებია: სახ., მოთხრ., მიც., ნათ. და მოქმ.; ახასიათებს ლოკატიური (წარმოშობით თანდებულიანი) ბრუნვების სერიათა სისტემა. ბრუნება არის ერთფუძიანიც და ორფუძიანიც. ზმნაში კლასისა და რიცხვის გარდა გარჩეულია დრო, კილო, კაუზატივი, მრავალგზისობა და უნახაობა. დიფერენცირებულია გარდამავალი და

გარდაუვალი ზმნები. კლასნიშნით გამოხატულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას - ქმნის, გარდაუვალი – ნომინატიურს, ხოლო გრძნობა-აღქმის ზმნები – დატიურს. რთული ქვეწყობილი წინადადება არ მოეპოვება, მის ფუნქციას ასრულებს მარტივი წინადადება საგარემოებო და პირ-კილოს ფორმების მეშვეობით. სიტყვათა შორის სინტაქსური და-მოკიდებულების ძირითადი სახეებია შეთანხმება, მართვა, მირთვა. მსაზღვრელი უსწრებს - საზღვრულს. სიტყვაწარმოება სუსტადაა განვითარებული. თვლის სისტემა ათობითია. მრავლადაა ნასესხები სიტყვები ხუნძურიდან, ქართულიდან, რუსულიდან. არაბ.-სპარს.-თურქ. ლექსიკა უმთავრესად შესულია ხუნძურის მეშვეობით.

კ. ე. უმწერლობოა. სამწერლობო ენად იყენებენ ხუნძურს.

ლიტ.: ლ ო მ თ ა ძ ე ე., მრავლობითის წარმოება კაპუჭურ-ჰუნზიბური ენის ზმნაში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1953, ტ. 5; მ ი ს ი ვ ე, Анализ капучинско-гунзибского языка, იქვე, 1956, т. 8; Б о к а р е в Е. А., Гунзибский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Б о к а р е в Е. А., М а д и е в а Г. И., Бежитинский язык, იქვე; М а д и е в а Г. И., Грамматический очерк бежитинского языка, Махачкала, 1965.

ე. ლომთაძე